


რედაქცია

ბანკის ქუჩაზე, სტ. მელიქაძის და სტამბაში, პეტროვის სახლებში.
ბელს-მოქმედი
რედაქციაში და სტ. მელიქაძის სტამბაში.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ конторѣ редакціи газеты „Дружба“, при типографіи Меликова.
გაზეთის ღირებულება
წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
ცალკე გამოცემა — ერთი მარტი.



ბანკსადგმა

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.
ბანკსადგმის ღირებულება
დღის ასობით, ასობე — 1 კაპ., ასობით — 1 კაპ., სტრიქონზე — 8 კაპ., ციკლოთი, სტრიქონზე — 1 კაპ.
ბანკსადგმის ღირებულება
საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწავლებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს.
უებეჭველი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

გამომცემის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

აღმოსავლეთის დემონსტრაციის გამო, შიმშილი, მკვლელობა და სხვა მძიმე მოვლათა გამოცხადება

საქართველო

ერთი რიგიანი ბანკარაობა

ჩვენი საადგილო-მამულო ბანკების დაარსებისათვის ერთი საფუძვლიანი, ყოველ-გომიერი ჰაზრი გამოითქვა, — ის, რომ თვით ჩვენზე, თვით ჩვენ მამულის მეპატრონეებზედ იქნება დამოკიდებული სასარგებლო ანუ მავნებელი ზედ-მოქმედება ამ ბანკებისა.
ბანკარაობის იყო, რომ, თუ ჩვენს მემამულენი თავიანდაკ, რიგიანად მოხმარებენ იმ ფულს, რომელსაცამ ბანკებიდან გამოიტანენ, თუ იმავე მამულის გასაუმჯობესებლად დახარჯვენ, რომლის გირაოთაც სესხი აღებული იქნება, მაშინ ბანკი, უეჭველია, სარგებლობას მოიტანს. პირიქით, თუ ბანკიდან გამოტანილი სესხი სხვა რასაზე მოეხმარა, და არა მამულს, თუ ეს ფულები ჩვენ ჩვეულებრივად, უანგარიშოთ ვფლანგეთ, მაშინ ამ ბანკებისაგან ზარალის მოტანას უფრო უნდა მოველოდეთ, ვინემ სარგებლობისას, რადგან დაგირავებული მამული ვალის გადასახდელ სარგებელს ვერ ამოიგებს, ბანკი იძულებული იქნება გაჰყიდოს ეს მამული და ამის გამო ჩვენ მემამულეს ცოტა ცოტათი ჩამოეცლება ხელიდან თავის ერთადერთი საზრდო, ერთადერთი ნუგეში ცხოვრებისა — მიწა.
საუბედუროთ, მგონია, ეს უკანასკნელი მოსაზრება მართლდება. მართალია, შარშანდელი წლის ანგარიში ოფილისის საადგილო-მამულო ბანკისა ჯერ კიდევ არ გამოცხადებულა და არ ვიცით — რამდენი სოფლის მამული დაგირა-

ვებულა და ამითი რამდენი ისყიდება იმ სარგებლის გადაუხდლობისათვის, რომელიც, სწინებული ბანკის მე-15 მუხლის დალით, ყოველ ექვს თვეში უნდა შეიტანოს მამულის დამგირავებელმა. მაგრამ, ერთის მხრით, შარშანდელი ანგარიში რომ მივიღოთ მხედველობაში და მეორეს მხრით ის განცხადებანი მამულების გასყიდვას, რომელიც ამას წინათ „დროების“ მე-27 და 31 ნომრებში დაიბეჭდა, მაშინ ზოგიერთი მოსაზრების გამოყვანა შეიძლება.
შარშანდელი ოფილი. საადგილო ბანკის ანგარიში გვაცნობებდა, რომ იმ წლის განმავლობაში ამ ბანკში სულ 13 სასოფლო მამული იყო დაგირავებული. ახლა შარშანდელის წლისათვის რომ, ესთქვათ, რომ ამოდენა ჩავაგდოთ, გამოვა, რომ ორი წლის განმავლობაში დაგირავებული 40 მამულამდინ და ამითი თითქმის 15 სოფლის მამულამდინ დანიშნულა გასასყიდლად, რადგან მათ მეპატრონეებს დანიშნულს ვადაზე ხვედრი სარგებელი არ ან ვერ შეუტანიათ ბანკში! (მიმეორებთ, რომ ეს რიცხვები დაახლოებითი რიცხვებია, რადგან ბანკის ანგარიში არა გვაქვს).
მაშა სადამე მესამედზე მეტი სოფლის მამული, რომელიც ამ ბანკში დაგირავებულია, ისყიდება! რაც ამ ორი წლის განმავლობაში მოხდა, იგივე შეიძლება მოხდეს შემდეგშიც. და ამნაირად შეიძლება საზოგადო კანონი გამოვიყვანოთ, რომ, ორს მამულში ერთი თუ არა, სამში ერთი მაინც ეკარგება თავის ნამდვილ პატრონს და სხვის ხელში გადადის!
ზადაღის — გადავიდეს. თუ ჩვენმა თავად-აზნაურობამ თვითონ არ იცის ფულის მოხმარება, რა უნდა ემეფელოს ამას, ბრალი ვის აქვს ამაში? მინ იქნება დამნაშავე, რომ ერთს მშვენიერ დღეს ის სრულიად უად-

გილ-მამულო დარჩეს? რომ მთელი იმის მამულები სხვის ხელში ჩავარდეს?
ახლა იმაშია საქმე — ვის ხელში ჩავარდება ეს მამულები, რომელიც ჩვენ თავად-აზნაურობას გაესყიდება?
სანატრელია, რომ ეგ მამულები ისევე ჩვენი ქვეყნის ხალხში ჩავარდეს; პირ-და-პირ ესთქვათ: ყველაზე უკეთესი ის იქნება, რომ ჩვენმა გლეხებმა მოახერხონ იმის შეძენა, იმ გლეხებმა, რომელნიც ყველაზე უფრო ახლოს დგანან მიწაზე, რომელნიც ერთადერთი შემსუშავებლები არიან ყველგან და ჩვენშია ჩვენი გამზრდელი და მრჩენელი მიწისა.
აი ამიტომაც მოგვეწონა ჩვენ განკარგულება ოფილისის საადგილო-მამულო ბანკის მამულებისა, რომელსაც ყველა სოფლებში, საცა კი ბანკში დაგირავებული მამულები ისყიდება, უზღვის უფროსის საშუალებით, გაუზგავნა განსაკუთრებული განცხადება, რომ, თუ ჰურთ, ეგ მამულები ისყიდონ.
მაგრამ მართლ ცნობის გაგზავნა, რომ ესა და ეს მამულები თქვენ მეზობლად ისყიდებო — არ კმარა. საჭიროა, რომ ბანკმა რაც შეიძლება გაუადვილოს კერძო გლეხს ანუ მთელ სოფლის საზოგადოებას ხსენებული გასასყიდი მამულების საკუთრებად შეძენა. ბანკს შეუძლია, ნაწილ-ნაწილად დაჰყოს ის მამულები და ისე გაჰყიდოს, შეუძლიან ფულის გადახდა ადროვოს, შეუძლიან, რომ მომეტებულ მოგებას არ გამოეღვენოს და იმდენად მიჰყიდოს, რამდენათაც თვითონ უზის ეს მამული, და სხვა ბევრა შემსუშავებულება და შეღავათი შეუძლიან მისცეს იმას, თუ მოინდომებს და თუ რიგიანათ ესმის ჩვენი ხალხის ერთარება.
ბანკს ერთი რამ უნდა ჰქონდეს მუდამ მხედველობაში: ის, რომ, თუ

ისევე სოფლის ხალხმა არ იყიდა ეს მამულები, სხვა ვინმეები იყიდა, და ეს სხვა ვინმეები შემდეგ ხეირს არ დააყრიან ჩვენს ხალხსა.
იმედი გვაქვს, რომ შუთაისის საადგილო-მამულო ბანკის გამგეობა უყურადღებოდ არ დააღდებს ამ ოფილისადგ-მამ. ბანკის განკარგულებას და, როცა დრო მოაწევს, ისიც ამ გვარისავე სახსრებით გავიფარავს სხვა და სხვა ჩამოსახლებულ წურბელაებისაგან და არ დაგვიკარგავს მამულებსა...
ს. მ.
დღიური
ამ დღეებში მივიღეთ ჩვენ უკანასკნელი წიგნი „საექიმო კრებისა“ (Медицинскій Сборникъ), რომელსაც აქაური ექიმთა საზოგადოება აბეჭდებენ. სხვა და სხვა საექიმო სტატიათა შორის, ამ წიგნში დაბეჭდილია უფ. დოქტორის ზელონსკის სტატია „ოფილისის გუბერნიის სანიტარულ მდგომარეობაზე“.
მოგვეყვას ზოგიერთი სანიტარული ცნობანი და ციფრები ამ სტატიიდან: 1876 წლის განმავლობაში სხვა და სხვა გვარი ავთომყოფობისაგან ოფილისში 2,354 სული მომკვდარა; აქედამ კაცი — 1,240 და ქალიც 1,114 შარშანწინ 50 სულით უფრო ნაკლები მომკვდარა, ვინემ შარშან.
ყველაზე უფრო მომეტებულად იფილისის, აგვისტოსა და სექტემბრის განმავლობაში იხორცება ოფილისში ხალხი. ბანსაკუთრებით ბევრი იხორცებიან ქალაქის იმ უბნებში, საცა ხალხი მჭიდროთ არის დასახლებული.
ზემოხსენებული სტატიის ავტორი ამბობს, რომ ჩვენს ქალაქში შედარებით სხვა ქალაქებთან უფრო ბლომათ იხორცება ხალხი. ამის მიზეზად უფ. ზელონსკის ორი გა-

ფელტონი

ქორე დანდენ

სამ მოქმედებანი კომედია
მოლლიერის
ნათარგმნი ფრანგულულიდან
მოქმედება ქორე
ს. ცენა მიკრე
ქორე დანდენ (მარტო). როგორც მინდობდა, ისე ვერ გამოვიყენე ეს კაცი! მაგრამ ერთ ახალი ამბავი მაინც შევიტყე იმისაგან და ჯერ-ჯერობით ესეც მეყოფა. თუ ის ფრანტი ჩემთან არის, ესეც საქმარ იქნება ჩემი ცოლის დედ-მამისათვის რომ თავის ქალის კეთილ ზნეობაში დარწმუნდნენ. შედეგება ეს არის — როგორ უნდა ვისარგებლო

ამ შემთხვევით? სახლში თუ შევედი, ის გაიქცევა, და რაც უნდა ჩემი გაუპატიურება ვნახო, ისინი არ დამიჯერებენ, მეტყვიან: სიზმარს ამბობო. თუ ახლავ ვაკიქეც და ჩემ სიმამრ-სიდედრ შევსატყობინე და მოვიყვანე, ვაი თუ ის, ბაყუში აქ აღარ დაგვხვდეს! და მაშინ ხო უფრო შევრცხები! (კარების გასაღების ნახვრებში იჯერობა). ჰა, მაღალზე წევს! აქ, ექვთის შემოტანა აღარ შეიძლება! თვითონ ჩემის თვლით დავინახე! ახლა სადღა წამივლინე! (ხედავს თავის სიდედრსა და სიმამრს რომელთაც მოდიან). ბედი მწყალობს: მოწმებებიც ავერ მოდიან.
ს. ცენა მიკრე
უფ. დე-სოტენვილი, იმის ცოლი და ქორე დანდენ
ქორე დანდენ. ძლივს! თქვენ არ მიჯერობთ მე, და თქვენი ქალი სულ მე მარბალებდა; მაგრამ, მაღლობა ღმერთს, რამდენიმე დასამტკიცებელი საბუთი მაქვს ხელში ასე, რომ ესლა დარწმუნებული ვარ,

ისე ნათლათ სჩანს ჩემი გაუპატიურება, რომ ეჭვი აღარ შეხვალთ.
უფ. დე-სოტენვილი. როგორ! ჩემო სიძევ, თქვენ ჯერ კიდევ არ მოგისვენიათ?
ქორე დანდენ. ღიას, ჯერ არ მომისვენია, და ესლა უფრო მომეტებული დამტკიცებები მაქვს.
დე-სოტენვილის ცოლი. მოსრულებართ კიდევ, რომ თავი გამობრუნდეთ...
ქორე დანდენ. ღიას, ბატონო, ჩემ თავს უფრო უარეს უშვრებიან...
უფ. დე-სოტენვილი. ნუ იწუხებთ მაგრე თავს თქვენის ჯიუტობით!
ქორე დანდენ. არა, მე ის უფრო მაწუხებს, რომ სულელათ ჩამთვალონ.
დე-სოტენვილის ცოლი. არ გინდათ მოიშოროთ თავიდან ეგ თქვენი საშინელი ჰაზრები?...
ქორე დანდენ. არა, ბატონო, მე უფრო მინდა მოვშორდე იმ ნაირ

ცოლს, რომელიც მაუპატიურებს...
დე-სოტენვილის ცოლი. ღმერთ ჩემო, ჩემო სიძევ, ისწავლე რიგიანი ლაპარაკი.
უფ. დე-სოტენვილი. მერე როგორ იქნება! მოძებნეთ უფრო პატიოსნური სიტყვები.
ქორე დანდენ. მაჭარი, რომელიც კარგავს თავის საქონელს, როდი იცინის.
დე-სოტენვილის ცოლი. არ უნდა გავიწყდებოდესთ თქვენ, რომ ცოლათ გყავსთ გვარიშვილიანი ქალი...
ქორე დანდენ. არა, თუ მაგიწყდება და უფრო გადამეტებთაც მაგრძობებს...
უფ. დე-სოტენვილი. თუ კი გახსოვთ, ისიც უნდა მოიფიქროთ, რომ უფრო პატივით ილაპარაკო მასზე.
ქორე დანდენ. რაღას თქვობს, თითონ რომ ასე უპატიუროთ მეტყევა! იმიტომ რომ გვარიშვილიანი ქალიაო, უნდა ჰქონდეს ყველა

*) „დროება“, № 33



რემოცია მოჰყავს; პირველად ის; რომ ქალაქის ღარიბ ხალხს უფრო სწავრო, ცუდი სადგომი და საზოგადოთ ცუდი ცხოვრება აქვს, და მეორედ ის, რომ თვითონ ქალაქის წინადაგი, ჰაერი და წყალი არ არის რიგიანიო.

ლოკტორი ამბობს, რომ ქალაქში სიკვდილის შემცირებას ქალაქის ქუჩების სისუფთავე და განსაკუთრებით წყლის გამოყვანა ძალიან დაეხმარებაო.

* * ამ თვის 13-ს მორში ქართულის სცენის მოყვარეთა იქაური უფასო საქალებო შკოლის სასარგებლოდ წარმოუდგენიათ **წ. ანტონოვის ორმოქმედებანი** კომედია **მე მინდა ცნეი ნაგაგა ბღე**. ამას გარდა ორა რუსული პიესაც წარმოუდგენიათ.

ჩვენი იქაური კორრესპონდენტი აქებს ამ წარმოდგენებს და ამასთანავე გვაცნობებს, რომ ამ საშუალებით შკოლამ მიიღო 130 მანეთიო, რომელიც დროებით ხელს გაუმართავს ამ შკოლასაო.

* * ჩვენი სიღნაღელი კორესპონდენტი გვაცნობებს, რომ მილიციონერების მოკრების დროს ამ უფლებზე ბევრი უწყობა მოხდაო; ამბობენო, რომ ამათ გაყვანის დროს თითო მილიციონერზე მამასახლისებმა თითო მანეთი დაიღეს და „ოჯიბესო“.

* * მეორე ჩვენი სიღნაღელივე კორრესპონდენტი გვწერს შემდეგ შემთხვევას, რომელიც ამ დღეებში მომხდარა სიღნაღის საზოგადო კრებაში:

„მართა კლუბის წევრმა გალექებაში — მაგრამ ის გალექებულა, როცა უფლის უბრაულებიაში სტოლზე ქალაღებს ჯღაბის, როცა ჯიბისავე ხელებს იკრავს, როცა ადვოკატობაში ჩვენი სინდისიან მოსამართლეს პირში ლანძღავს, — ამ წევრმა უშვერის სიტყვებით გალანძღა ჩვენი კლუბის სტარშინები; ერთს უვირო „დაუძანა, მეორეს „უტვირო“, მესამეს „საღდათო“ და სხვ. ეს სიტყვები პატრივტყულ წევრს, უეჭველად, ჩვენი გამოჩენილი პედაგოგის „ლექსიკონიდან“ ექმნება ამოღებული.“

* * ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი **მე ვეღირი** ჩინებული ტრაგედია **შექსპირისა** ინგლისურიდან ვადმოღებული **ი. მანაბლის** და **ილ.**

შავკავადის მიერ. * * ეს მეოთხე წიგნია, რომელიც ქართული წიგნების გამომცემელმა წერმ გამოსცა.

„მევე ლირი“ ურითმო ლექსებით არის თარგმნილი. გამომცემა არც კარგია, არც ძალიან ცუდი. თვით თარგმანზე ჩვენ მალე მოველაპარაკებით ჩვენს მკითხველებს.

* * **მ. რაფ.** პრისთავი ახალი ანბანის გამომცემას აპირებს ქართულს ენაზე. ამბობენ, ეს ამბანი ამერიკულ მეთოდით იქნება შედგენილიო.

* * პილვე ერთი ახალი ამბავი, რომელიც ჩვენი მწერლობის საქმეს შეეხება:

ჩვენ შევიტყუეთ, რომ უფ. **ნ. ნიკოლაძე** თავის ქართული ნაწერების ცალკე წიგნებად გამომცემას აპირებს. როგორც მოგვხსენებთ, **ნ. ნიკოლაძეს** თითქმის ყოველგვარს ლიტერატურის ნაწილში უსინჯავს თავის ნიჭი: უწერია პუბლიცისტიური, კრიტიკული პოლიტიკური, პოლიტიკო-ეკონომიური სტატიები, ფელტონები და ერთიც მოთხრობა დასწერა. შევლა ეს „დროებაში“ და „ძრებულში“ დაბეჭდილი. თითოეული გვარი სტატიები ცალკე ტომად გამოვა ასე, რომ სულ ოთხი თუ ხუთი ტომი შესდგება.

უფ. **ნ. ნიკოლაძის** ყველა ნაწერებს თანამედროული, დღიური ხასიათი აქვს და ამიტომ ადვილათ გაიგებთ — თუ რა სასარგებლო და სასიამოვნო იქნება იმ საგნების გახსენება, რომელთაც ახლა ჩვენთვის ასეთი მნიშვნელობა აქვს და რომელთაც ეს ჩვენი ახალგაზდა მწერალი ასეთი სოცხალის კალმით ეხებოდა....

„დროების“ კორრესპონდენცია

მუთაისი, 20 მარტს. არ გაგიკვირდეს, მკითხველო, რომ თითქმის ყოველი ქუთაისური ამბის მოთხრობა მუთაისის ბაღიდან, მუთაისის ბულვარად იწყება. მასაკვირველი ის იქნებოდა, რომ ეს ბაღი უყურადღებოდ რჩებოდა. რადგანაც შეიძლება ის ჩაითვალოს აქაურის ცხოვრების მოვლენათათვის უპირველეს ბარომეტრად; ის შეიძლება ჩავსთვალოთ წერტილად ათასწირის მხედველობისა: ხნობითისა, გონებითისა და სხვ. უნდა შევსდგეთ ამ წერტილზე და ყველაფერს ცხადთ დინახავთ, თითქო ხელის გულზე გქონ-

დეთ მაგლი მუთაისი და მისი ცხოვრება.

ამნარი მნიშვნელობა ამ ბაღისა კაცებს კი არა, ბაყაყებსაც ესმოდათ და, როგორც კი გააკეთეს აქ თხრილები, ერთის ნეტარ ხსენებული ბატონის წყალობით, იმ წამში ესტუმრენ ისინი ბულვარს და მის თხრილებში, ყლარტიანი წყლით სასვებში, დაჰბინდნენ რიგზე. დაიწყეს იქ იმათ წინასწარმეტყველება; არც ერთი მოვლენა, არც უსულო და არც სულიერს ბუნებაში, შეუნიშნავდა არ გამოეპარებოდათ იმათ, რომ ვაი-ვაი! არ მიეძახებიათ; ავი დარი, კარგი დარი, ავი საქმე, კარგი საქმე, კრება მოსეირნეთა, — ყველაფერი გამოიწვევდა ხოლმე მათ ყიყინს.

ახლა, ბატონო, ეს ცხოველები, როდესაც ბულვარის თხრილები უკვე ამოავსეს, გარდასახლდნენ აქედამ და სულ მოედნენ ქალაქის ქუჩებსა და მოედნებს, სადაც ტბები ყლარტიანი და დამპალის წყლისა ბლომად არიან. საშინელი საქმე დაგეგმართა ამ ახალ გაზაფხულზე, უმუზიკობის დროს, რომ ბაყაყები გავეცალენ. მაგრამ ეს არაფერია: ვაი თუ მოსეირნე ხალხიც დაგვიფხვნენ და დაერჩეთ მარტო ჩვენ ჩვენ წერტილზე. მისზედ ვილაპარაკოთ მაშინ! მაგრამ არა; ჩვენ უბულვაროთ ვერ გაეძღვებთ, როგორც თევზი უწყლოთ; მამ ნურასი გვეშინია, გარდა ხმლისა და ხანჯლის ტრიალისა და კრულისა. იქნება მთხროს ვინმემ, თუ რათ ატრიალებენ ასე მწარედ ხანჯლოსა და ხმალს? რისთვის? მისთვის? ეს მე არ ვიცი, ამას დიდი და უუდიდესი მიზეზი აქვსო. აქაურ გამომძიებლებს ჰკითხეთ: ამათი ფანტაზია თუ რასმე გვიშველის ამ მიზეზის გამოძებნაში, თორემ უბრალო მამაკედეები ვერას გავიგებთ.

აბა ახლა შევსდგეთ წერტილზე მხედველობისადა მივაპყრომ თვალი ჩვენს გამრებ-გამომრებსა, ყურადვილოთ სიტყვანი მათნი.

აგერ მოდის ერთი წყობა მოსეირნეთა: რალაც დაღონებულები არიან. ჩამოსხდებიან სკამზე და შემდეგ საუბარს მოჰყვებიან:

— იმ ოჯახ-დაქეუულმა ეგ რა საქმე გიყო! იტყვის ერთი მათგანი. — რომ ასე გვეგონებოდა, დროზე სხვას ვიშოვიდით. რა წყალში გადავარდეთ ახლა? ნახევარი დათქმულის ფულისა გამოგვართვა, მერმე დაჰკრავები და რუსეთუსაკენ გაჰსწია. ჩვენ

კი ვრჩებით. აქ დაუცველოდ; ვინ იცის, ზეგ რა განიხილებას გვექნება. სწორეთ **მე ვეღირი** ქალაქში არიან ეს ადვოკატები, ბევრ საცოდ-ვავე საქმეს ჰმერებიან. პირველად რა ეშმაკურად იწყებენ საქმეს, როცა ადვოკატობის ასპარეზზე გამოდიან! თავისი სენიდიდისიანობა და ბეჯითობა უნდათ დაგვიმტკიცონ ყველაფერში. მაგრამ შემდეგ, როცა პრაქტიკას გაიკეთებენ, გარდა ფულებისა ყველაფერზე ხელს იღებენ. მქიმებმაც ასე იციან. უსათუოდ ტყუპად უნდა დაბადებულიყოს ეს ორი ხალხი ქვეყანაზე.

— ბარგი, ახლა, ეუბნება მეორე; მაგისთანა ლაპარაკი ჩვენ ვერას მოგვეხმარება ზეგისათვის. ისევ ადვოკატი ვიშოვოთ სხვა, თორემ შეიძლება სიმბირისაკენ გაგვისაქონ და მაგ ვაყბატონები კი აქ დაჰრჩებიან.

— ბატონი ბძანდები; წავიდეთ მოვიძიოთ, ამბობს პირველი, მაგრამ ამ მიწერულში რომ მივადგეთ ვისმე, საქმეს გაგვიჭირებენ, იმ ერთის არ იყოს, გუშინ რეასი მანეთი რომ გეთხოვა. მერმე ამ პატიოსან კაცს თურმე დაცვის ნებაც არ ჰქონია, აღკრძალული აქვს კაი ხნითაო იმისთანა მოქმედებისთვის, როგორც ჩვენ გვიქნა ჩვენმა ადვოკატმა, და როგორ აპირებდა ჩვენი საქმის ხელის მოკიდებას? მჰ, რა გაეწყობა! წავიდეთ ვისმესთან, რასაც გვიხამს, ის იქნება. ნეტავი ღირსებას არ ჩამომართმევდნენ და სამშობლოს არ მომამორებდნენ, თორემ არაფერს არ დავეძებ, რაც უნდა დიმემართოს. ადგებიან და წავლენ.

მეორე წყობა მოსეირნეთა.

მათ შორის ერთი ახალგაზდა ქალია. წინ შეჰხედება იმათ ერთი ქერა, წვეროსანი კაცი, შავ ჩოხაში, მაზრის პოლიციის ფორმის ქუდი ჰხურავს, ხან ბოხოხი; თვალზე დასისხლებული და ენა არეულია ნამეტანის თაყვანისცემით ბახუსისადმი. ახალგაზდა ქალს ხელს ჩამართმევს მერმე წაავლებ ხელებს მკლავებში და ენა აბნეულათ ეუბნება: — როგორ გა... გი... გიშვებ შე... შე... შენი! — სხვები მიეშველებინ ქალს და ქერას გაამორებენ. ეს პირი შესანიშნავი პირი ყოფილა. არათუ მუთაისში, სოფლებშიაც სახელგანთქმული ყოფილა. დაიწყეთ მუთაისიდან: სარ-

გვარი თავისუფლება, რომ რაც უნდა მიყოს და მე მასზე ხელის მოღერა არ შემეძლოს!

უფ. **დ-ს ოტენვილი**. რა დაგმართვიათ და რაღა შეგიძლიათ ახლა კიდევ თქვათ? მერ ნახეთ ამ დილას როგორ გაიმართლა თავი!

ქორქ დანდენ. ღიან, მაგრამ ენლა რალას მეტყვი, რომ გიჩვენონს ყმაწვილი ჩემ კოლოთან?

დ-ს ოტენვილი **კოლი**. იმისთან?

ქორქ დანდენ. ღიან იმასთან და ისიც ჩემ სახლში.

უფ. **დ-ს ოტენვილი**. თქვენ სახლში?

ქორქ დანდენ. ღიან, ჩემ საკუთარ სახლში!

დ-ს ოტენვილი **კოლი**. თუ ეს მართალია ჩვენ თქვენ მხარეს დავიჭერთ და იმას გავამტყუენებთ...

უფ. **დ-ს ოტენვილი**. ღიან, ჩვენი სახლობის პატიოსნება ყველაზე ძვირათ გვიღირს; თუ თქვენ მარ-

თალს ამბობო, უარს გყოფთ ჩვენი შეილებსაგან და მივატოვებთ თქვენის რისხვის ქვეშ.

ქორქ დანდენ. აბა წამობრძანდით!

დ-ს ოტენვილი **კოლი**. ვაი თქვენ, თუ მომატყუილეთ.

უფ. **დ-ს ოტენვილი**. ისე არ მოიქცე, როგორც წელან.

ქორქ დანდენ. ღმერთო ჩემო, თქვენ თითონ ნახავთ. (აჩვენებს პლიტანდრას, რომელიც გამოდის ანუელიკასთან ერთად). აი განა ტყუილი ვთქვი?

სცენა მეათე

ანუელიკა, პლოტანდრა, პლოდინა უფ. **დ-ს ოტენვილი**, მისი ცოლი და **ქორქ დანდენ**

ანუელიკა (პლიტანდრას). მშვიდობით, მეშინიან, რომ არ ვინ გვანხოს აქ. მე უნდა ყურ-ცქეიტათ ვიყო.

ქორქ დანდენ. სიტყვა მომეცი, ამაღამ კიდევ შეიძლება თქვენთან ლაპარაკი?

ანუელიკა. შევლა ჩემ ღონისძიებას ვიხმარ...

ქორქ დანდენ. (უფ. **დ-ს ოტენვილს** და **მის ცოლს**). მიუახლოვდეთ პატარა და ვეცადოთ, რომ არ დაგვიანხონ.

ქორქ დანდენ. **მს**, ღმერთო ჩემო!

ანუელიკა (ჩუმათ პლიტანდრას და პლოდინას). ღამშიდლით, ნუ შეკრთებით. მე მომანდეთ გამმართო საქმე (მალა პლიტანდრას). როგორ? იმ საქმის შემდეგ, რომელიც ამ ცოტახნის წინათ მოხდა, თქვენ კიდევ მაგრე იტყვიეთ, და მაგრე უთავებოლოთ ხარჯავთ თქვენ გრძნობას? მე მითხრეს, რომ თქვენ გაქვთ ჩემთვის სიყვარული და გინდათ, როგორმე ჩემი თანაგრძნობაც მოიპოვოთ, მე თქვენ გეუბნებით, რომ დანებოთ თავი ჩემ შეურაცხმყოფს აზრებს.

ამასთანვე იმოდენა გაბედულებაც გაქვთ, რომ მოდინართ ჩემთან იმისთვის, რომ მითხრათ, რომ გიყვარვარ, და მიამბებთ სხვა და სხვა სულელ ამბებს რომ დამარწმუნოთ! ასე გვონათ, რომ მე ისეთი ქალი

ვიყო, რომ გადავიდე იმ პირობას, რომელთაც საქვეყნოთ მივეცი ჩემს ქმარს (ამ დროს პლოდინას ანიშნებს, რომ ჯობი მოუტანოს) მსლა მე თქვენ გიჩვენებთ — რა ქალიცა ვარ; იმოდენა სიმამაცე მეც მაქვს, რომ გადავიხადოთ სამაგიერო იმ შეურაცხმყოფისთვის, რომელიც მე მომაყენეთ.

თქვენი საქციელი პატიოსანი კაცის საქციელი არ განთავსო და ჩემი საქციელიც ისეთიან როგორც თქვენი სთანა კაცს ეკადრება. (ანუელიკა იღებს ჯოხს და უნდა პლიტანდრას დაარტყას, რომელიც ისე ახერხებს, რომ ჯოხი ხედება **ქორქ დანდენს**).

ქორქ დანდენ (ყვირის, თითქო იმას მოხვედრია ჯოხი). ვაი! ვაი! ვაი!

ანუელიკა (ერთმ პლიტანდრას).

სცენა მეათე

უფ. **დ-ს ოტენვილი**, მისი ცოლი, ანუელიკა, **ქორქ დანდენ** და **პლოდინა**.

ქორქ დანდენ. მაგრა, ქალბატონო! დაარტყი რიგიანათ!

ანუელიკა (ერთმ პლიტანდრას).

წმუნოდ გავიგეთ, რომ ამას წინეთ
იქნა ერთი მოხუცებული თავადი-
„გვილი ვაჟთადაცა, მისთვის, რომ ამ
მოხუცებულმა ჰსთხოვა მას სახლის
ქირა, რომელშიაც უდგა. ან ფული
მომეცი, ან გადი სახლიდან. იმან
მათრანები უბოძა გვერდებში. ძალა-
ზეა რაღა! წესის დამცველი კია თი-
თონ.

ამას წინეთ ეს უფალი ვილასაც
დაუპატივინა აქაურ სასტუმროში
„მიქტორიაში“. დამპატივებელს ღვი-
ნო თავისი მიუტანია სასტუმროში.
ღვინო დაუღვინათ, ბოთლები იქ
დაპრჩინათ. მეორე თუ მესამე დღეს
ეგ ჩვენი უფალი შედის ნახსენებ
სასტუმროში და მის პატრონ ბო-
თლებსა ჰსთხოვს; გადაკრული ბლო-
მადა აქვს. სასტუმროს პატრონი ეუ-
ბნება, რომ ბოთლები შენი კი არა,
იმისია, ვინც დაგპატივდა და მას მიე-
სცემ, შენ რა ხელი გაქვსო! ის ეტა-
კება და ცემას დაუწყებს. შეიქნება
ერთი ყვირილი, ერთი ვაი-უშველ-
ბელი. თითქმის შუა ღამეა. ჰველა
მდგურები გამოჰსცვივიან და ამ
სცენაზე მასპინძელი გავარდება კარ-
ში, ღებურნატორთან აპირებს წას-
ვლას, რომ თანამდებობის პირისა-
გან ამისთანა შეწუხება ადგება; მაგ-
რამ არ უშვებენ, ეუბნებიან, რომ
ახლა შუაღამეა და ღებურნატორს
ვერ ნახავს; გარდა ამისა ამ კაცსაც
დაჰტუპავს, რადგან წესიერების დამ-
ცველს ამისთანა უწესობაში რომ
შენიშნავს ღებურნატორი, უსათუ-
ოდ თავზე ხელს არ დაუსობს. მას-
პინძელს დაწყინებენ ამნაირად.

ამას წინეთ ამ უფალს ერთს მუ-
თაისზე მახლობელ სოფელში ერთი
გლეხი გაემათრახებია, მისთვის რომ
მან ამას მუქთად ვახშამი არ დაუ-
შადა და არ მიართვა. ამის მფარ-
ველობის ქვეშ მყოფი მამასახლი-
სები მეტის-მეტად ავიწროებენ ხალხს;
ქრთამს იღებენ ნათლად, ერთსა და
იმავე გლეხებს აწვევენ ნიადაგ სა-
მუშაოთ და სხვებს იფარავენ. ამას
წინეთ ერთმა მამასახლისმა გლეხე-
ბისაგან ფული მოჰკრიფა მილიცი-
ონერების გამოსაწყობად თხუთმეტ
თუმანზე მეტი. მაგრამ მილიციონე-
რებს ამ ფულიდან ორი წილიც არ
მიჰსცემიათ. დანარჩენი საღ წილი
მამასახლისმა, არ იცის კაცმა, ანუ
უკეთ ვსთქვათ, ყველამ იცის, მაგ-
რამ ვერცერთ გლეხს ხმა ვერ ამო-
უღია, რადგანაც მრისხანე „რას
ამბობ, ყაზახო? როგორ ჰბედავ მა-

ვას?“. მათრახით ხელში უცეფ ჩა-
ხუმებს იმათ.
მესამე წყოლა მოსვირნეებისა. რამ-
დენიმე მოსწავლეები მოდიან.
— პაქო, რა ჰქნა თქვენ კლასში
რევიზორმა?— ჰკითხავს ერთი მე-
ორეს.
— ჩას იზამდა. ჩვენმა მასწავლე-
ბელმა კი კარგათ გამოამტკინა თა-
ვიდა. როგორც შემოვიდა რევიზო-
რი, გაიყვანა ერთი მაგირდი საკით-
ხავად; ამან მოუსვა ხელი, რაც კი
ხანია დახეპირებული გვექონდა და
სულ წყალივითა ჰსთქვა ყველაფერი.
მასწავლებელიც რაღას იზამდა, ყუ-
რი დაუდგო მხოლოდ; ვეღარ ვაბე-
და მოსწავლის ყალობის გამოჩენა.
თურმე თითონ არა-ნაკლებ ემინია
გლახა ბაღლის მიღებისა, ვიდრე
მოსწავლეს; თურმე ამ რევიზორს
ბაღლების დასმა ჰსცოდნია მასწავ-
ლებლებისათვის.
— არა, წყალივით პასუხის მი-
გება ღმერთმა შეარცხინოს უკე-
თესი იმაზე, ჩვენ კლასში რომ მოხ-
და, ამბობს პირველი მოსწავლე.
ჩვენმა „ცხვირამ“ ერთს ჰკითხა და
უარი მიიღო: „არა ვარ მომზადე-
ბულიო“; მეორეს ჰკითხა და იმისა-
განაც უარი მიიღო; მესამეც უარის
თქმას აპირებდა, მაგრამ ახლოს უდ-
გენ გვერდით ჩვენი „ცხვირა“ და
დიდი უფროსი, რომლებმაც გლე-
ხები წაყოლეს მას ჩუმიად გვერდებ-
ში და გაგდეს კარტისაკენ. მაგრამ
ვაი ამისთანა! გაგდებას! რუსეთის
სამზღვრათ დასავლეთით ჩვენი გაჰ-
ხადა. პიდეე კარგი, რომ ბისმარკმა
და მოლტკემ არ გაიგეს ეს ამბავი,
თორემ ერთი ვაი-უშველებელი შე-
იქნებოდა.
— ერთი რამ უნდა ვითხრა, ამ-
ბობს მეორე მაგირდი; ნეტავი სულ
ყოველ დღე მოდიოდნენ რევიზო-
რები; როგორც ცხვირები, ისე არი-
ან მაშინ ჩვენი მასწავლებლები, თა-
სმასავით მოგვეყვებიან ხელში და ჩუ-
მიად კი გიჯლიკებენ, თორემ ცხა-
დათ ვეღარ ჰბედავენ.
სცენა ბულვარის გარეშე.
ერთი კვილი-ჩხვილია. მის პო-
ლიციის მდებარე მოსამსახურეებს
ცემა-ტყეებით მიჰყავთ ერთი ახალ-
გაზდა კაცი, რომელიც, როგორც
ჰსჩნდება, ქურდობისათვის დაუჭე-
რიათ ბაზარში. შუან აუარებელი
ხალხი მიჰყვება, რომლიდანაც ერ-
თი-ორი ვინმე უსათუოდ გამოჰხტე-
ბა ხოლმე და, ხელმძღვანელებული პო-

ლიციის მაგალითით, ურტყამს და
ურტყამს საცოდავ ქურდს.
შინ იცის, იქნება ეს ახალგაზდა
ქურდების გამასწორებელი საშუალებ-
ბა იყოს, შეთხზული აქაურის პო-
ლიციურის ინტელიგენციისაგან! ჩვენ
ის ვიციოთ მხოლოდ, რომ ამისთანა
შემთხვევა ხშირად ჰხდება და ყოველ-
თვის, როგორც კი მოიგდებენ ხელ-
ში ქურდს, ქუჩაზე ცემა-ტყეებით მიჰ-
ყავთ პოლიციაში და იქ კიდევ რამ-
დენი მოჰხდება, ვინ იცის. იქ უსა-
თუოდ პროტოკოლი უნდა შეჰსდგეს
და საქმე სასამართლოში უნდა გა-
დაიცეს, სადაც დამნაშავეს კანონი-
ერი სასჯელი დაენიშნება და წი-
ნანდელი ცემა-ტყეაც მას შეჰრჩება.
ჩვენს პოლიციაში მოსამსახურე პი-
რებს ვერ გაუგიათ, რომ მათ სა-
მართლის გაჩენა არ ეკუთვნის, რომ
მათი საქმე არის მართა წესის და-
ცვა და უწყსობის შეჩერება; ვერ
გაუგიათ, რომ ყოველს კაცს ერთის
დანაშაულობისათვის ენიშნება ერ-
თი სასჯელი, კანონიერის მსაჯული-
საგან დადგენილი, და არა იმ კანო-
ნისაგან და იმ სამართლისაგან, რომ-
მელსაც ისინი აჩენენ ქუჩებზე.
მრთხელ ამისთანა სცენას წავს-
წარი. იქ იყო ერთი პოლიციის ჩი-
ნოვნიკი, რომელმაც, როცა ვკით-
ხე, თუ რათ აცემინებს ამ ნაირად,
ეგონა, თუ მოსწონს საქმეს ჰმერე-
ბოდა და გახარებული მითხრა: „მს
მე ვახლავარ, მე ვუბძანე!“

შესწავნილები

ზაზეთის „ტიმისის“ სტამბოლი
კორესპონდენტი იწერება 16 მარ-
ტილამ (4 მარტს), რომ, როგორც
მე ნამდვილათ შემიტყვიანო აქაური
საუკეთესო აფიცრებისაგან, მსმა-
ლოს სამხედრო ძალა სრულებით
იქამდინ არ აღის, სადამდინაც ეს მის
ოფიციალურ სტატისტიკებს აჰყავთ.
მს აფიცრები ამბობენ მაგ. რომ
მთელი მსმალოს საუკეთესო ძალა
ამ ქამათ გარნიზონებში არიან და-
ბანაკებულნი და უმეტესი ნაწილი
იმაგანი შემოლაში, სილისტრიაში,
რუმეჟში და მარნაში იმყოფებიანო.
სულ ამათი რიცხვი კი არასოდეს
სამოც-და-თორმეტს ათას კაცზედ
მეტი არ იქნებაო. მიდინაში და

თუ კიდევ დავრჩა რამე გულზე, მზათ
ვარ პასუხი მოგცეთ.
ძ ლ ო დ ი ნ ა. დანწავლე კარგათ
ვისთანაც გაქვს საქმე.
ან ქ ე ლ ი კ ა (ვითომ გავკირვებით).
აჰა! მამაჩემო, აქა ხართ?
უ ფ. დ ე-ს ო ტ ე ნ ვ ი ლ ი. დიან,
ჩემო ქალო, მე ვხედავ, რომ ლო-
ნებში და სიმარჯვეშიაც დე-სოტენ-
ვილების ღირსი შთამომავალი ხარ,
მოდი აქ, ერთი გაკოცო.
დ ე-ს ო ტ ე ნ ვ ი ლ ი ს. ც ო ლ ი.
მაცადე მეც, ჩემო ქალო! მე ვსტი-
რი სიხარულით და ვცნობულობ ჩემ
სისხლს იმ საქციელში, რომელიც
მე ვხლა ვნახე...
უ ფ. დ ე-ს ო ტ ე ნ ვ ი ლ ი. ჩემო
სიძე, როგორი გახარებული და აღ-
ტაცებაში უნდა მოდიოდეს შენი ცო-
ლის ამ საქციელის შემდეგ. მართ-
ლაც, თუ გქონდათ შეწუხების მიზე-
ზი, მაგრამ თქვენი ეჭვიანობა, იმე-
დია, ვხლა სრულებით უნდა დაი-
ფანტოს.
დ ე-ს ო ტ ე ნ ვ ი ლ ი ს. ც ო ლ ი.

რასაკვირველია, ჩემო სიძე, თქვენ
ვხლა ერთ ბედნიერ კაცთაგანი უნ-
და იყოთ.
ძ ლ ო დ ი ნ ა. სწორედ აი ქალიც
ეს არის! თქვენ დიდათ ბედნიერი
ხართ, რომ თქვენ გეკუთვნისთ. თქვენ
უნდა ჰქოცნიდეთ მაგის ფენის კვალს.
შ ო რ ჟ დ ა ნ დ ე ნ. ჰმ! მე მაც-
დურა!
უ ფ. დ ე-ს ო ტ ე ნ ვ ი ლ ი. რამ-
ბავია, ჩემო სიძე, რომ მადლობას არ
ეუბნები შენ ცოლს იმ ერთგულე-
ბისათვის, რომელიც დღეს დაგიბტ-
კიცა?
ან ქ ე ლ ი კ ა. არა, არა, მამაჩე-
მო, საჭირო არ არის. მაგას არა ფე-
რი ვალდებულება არა აქვს დამემა-
ღრიელოს, რაც ჩავიდინე სულ ჩე-
მი თავის-მოყვარეობისათვის არის.
უ ფ. დ ე-ს ო ტ ე ნ ვ ი ლ ი. საღ
მიხვალ, ჩემო ქალო.
ან ქ ე ლ ი კ ა. შინდა მოვმორდე
ჩემ ვალდებულებას, არ ვაგხდი მა-
გისაგან ღირსი მადლობისა.
ძ ლ ო დ ი ნ ა (შ ო რ ჟ დ ა ნ დ ე ნ). სწო-

რეთ რომ მართებს მაგას გაწყრომა.
მს ისეთი ქალია, რომ თაყვანისცე-
მის ღირსია და თქვენ კი ისე არ
ექცევით, როგორც ღირსია.
შ ო რ ჟ დ ა ნ დ ე ნ (დალამ). ავა-
ზაკო!
ს ც ე ნ ა მ ე თ ო რ მ ე ტ ე
უ ფ. დ ე-ს ო ტ ე ნ ვ ი ლ ი. იმის ცოლი და
შ ო რ ჟ დ ა ნ დ ე ნ.
უ ფ. დ ე-ს ო ტ ე ნ ვ ი ლ ი. მს წი-
ნანდელი უკმაყოფილების მიზეზია,
და მალე დააღბობ, თუ ცოტას მო-
ეფერები. მშვიდობით ჩემო სიძე! ახ-
ლა მაინც დამშვიდებული უნდა
გქონდეთ გული. წადით, მორიგდით
თქვენ ცოლთან, დაამშვიდეთ, ბო-
ლიში მოსთხოვეთ შეურაცხყოფისა-
თვის.
დ ე-ს ო ტ ე ნ ვ ი ლ ი ს. ც ო ლ ი.
თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენი
ქალი ზნეობიანად გაზდილა და არ
არის შეჩვეული, რომ იმის ყოფა-
ცევაზე მაგისთანა უკადრისი ექვები

იმის გარეშე მოადგინებში ორმოც-
და-ხუთი ათასი კაცის აღდგენა. — ბახ-
ნიამი და ბერცტრეკი...
და-თორმეტი ათასი კაცი. ახრუმ-
ში, შარში, ბაიაზეთში, არდანიში და
ახიის დანარჩენ მოსამზღვრე ადგი-
ლებში სამოც-და-თხუთმეტს კაცზე
მეტი არ იქნებაო. სულ მთელი
სამხედრო ძალა მსმალოსი კი ო-
რას ორმოც-და-ცხრამეტი ათასი
(259,000) კაცია სამას ორმოცი
ზარბაზანით.

— ნემენცური „სელოსი გაზეთის“
კორესპონდენტი იწერება სტამბო-
ლიდამ, რომ მისთვის საიღუმლოთ
შეუტყობინებია პორტის პოლიტი-
კის კარგათ მცნობს ერთს პირს,
რომ თუ ვინიცობაა ჩერნოგორიას-
თან მსმალოს მორიგება არ მოუხ-
დენია, მაშინ პორტის აქვს მზათ მე-
როპის წარჩინებულს სახელმწიფო-
ებთან გასაგზავნი შემდეგი მემო-
რანდუმო, რომელშიაც მათის დარ-
წმუნებით ძრიელ ცოტა რამ უნდა
შეიცვალოსო. აი დაახლოვებით ამ
მემორანდუმის შინაარსი: 1) პორტა
ჩერნოგორიასთან ომით ანუ გამარ-
ჯებულათ რაცხს თავის თავს და
არც დამარცხებულად. ამისათვისაც
ის მზათ არის, რომ ჩერნოგორიას-
თან მორიგება იმ საფუძვლებზე გა-
ათავოს, რომლებზედაც მოლაპარა-
კება გვექონდა მასთანაო. რომელიმე
ერთი ნაკუწი მიწის დათმობა კი
ჩვენგან შეუძლებელია, რადგან ამით
ვითომც ჩვენი დამარცხება დამტკიც-
დებაო („ფრთხის“ წინანდელ ნო-
მერში კი შევატყობინეთ მკითხველს
რომ პორტა დათანხმდა ჩერნოგო-
რიასთან ნიკშიჩის სიმარჯე დაუთ-
მია მამასაღამე ეს პირველი მუხლი
სხვა სახელმწიფოების დაუმარცხ-
ლათაც შეუცვლია თავად ჩერნო-
გორიას); 2) როგორც კონჭერენ-
ციაზე ისე სერბიასთან მორიგების
თაობაზე მოლაპარაკების დროს ერთ
უპირველეს პირობად იყო, მსმა-
ლოს შინაგანი საქმეებში გარეგან არ
შეიძლებოა. ამისთვისიყო, რომ პორ-
ტამ გარანტიებზე უირი ჰყო, მაგრამ
სერბის შესახებ კი მან ამსათავადოს
ომის წინ მდგომარეობა მიიღო
მხედველობაში და მორიგებაც ასე
გაათავა შეუძლებელია, რომ პორ-
ტა ჩერნოგორიის შესახებ იმისთა-
ნა პირობაზე დათანხმდეს, როცა ამ
სათავადოსაც მის ომის დროს მდგო-
მარეობას (statu duo ante bellum)
გარდაამეტებს; 3) ჩერნოგორიას რომ

შემოიტანოს ვინმე. მშვიდობით!
აღტაცებული ვარ, რომ ყველა უკმა-
ყოფილების მოსპობას ვხედავ თქვენ
შორის...
ს ც ე ნ ა მ ე ტ ა მ ე ტ ე
შ ო რ ჟ დ ა ნ დ ე ნ (მარტო). ხმას
არ ვიღებ, რადგან ვიცი, რომ ხმის
ამოღებით აღარა ვამიკეთებდა-რა.
ამისთანა უბედური მდგომარეობა
კიდევლა ვაგონილა? მომწონს ჩემი
უბედურება და განსაკუთრებით ჩემი
ცოლის მოხერხება! თვითონ რა ამ-
ბებს ჩადის და მე კი მუდამ მტყუა-
ნი გამოვიდვიარ! ნუ თუ ყოველთვის
ასე იქნება? ნუ თუ გარემოება ისე
მოთავადება, რომ ერთის შენედეტ
ყოველთვის მე ვიყო გასამტყუნარი?
ჰო, მაღალო ზეცავ! მომეხმარე, ამ
განსაცდელში, რომ ჩემი განზრახვა
აღვასრულო და იმდენი წყალობა
მიყავ, რომ ჩემი გაუპატიურობა და-
ვანახვო ქვეყანას!
(დასასრული მე-II მოქმედების)

მართლა დაუთმობთ რამე მიწა, ქალაქი ან რომელიმე სიმაგრე ამით ვითომ შვიდობიანობა შეურყეველი იქნება?.. მეორეა, რომ აქა ძათვან მსალომ მართებლობას რეფორმების შესახებ კითხვა არა ნაკლებ სხვა რომელიმე კითხვაზე აშინებს; 4) დარწმუნებულია შერობა, რომ ჩერნოგორიის წარმატება მისი სათავედს შემატებაზე დამოკიდებული? თუკი ამაში დარწმუნებულია, რატომ სხვა რომელიმე სახელმწიფო არ ნებულა ადგილი დაუთმოს მას? მაინც და მაინც მსალომ რატომ უნდა იზარალოს? 5) ალბანიაში იმისთანა თემების ხალხები გვყავს ქვეყნებში, რომ ჩერნოგორიას რომ რამე დაუთმობთ, ახლა ისენი აჯანყდებიან—ჩვენ რა დავა შევითო; 6) ისტორიები, რომელიც თავ. ნიკოლოზი თხოულობს, რომ დაუთმოს პორტამ ჩერნოგორიას ერთი საშინელი და ყოველს მხრივ შეუვალი ციხე, და გარდა იმისა გაუნსანა გზა ბონისისკენ, რომელიც ვინიცობა, რომ ომი მოხდეს ჩერნოგორიის ხელში ჩავარდება; 7) ჩვენ გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ ტერიტორიის მოპოვებისათვის ჩერნოგორიის მოძრიველობა იმდენათ გაუმაძღარია, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ შეიძლება ახალის ღონით ისე უარესი შფოთი და დავიდარაბა ავიტყვოსო.

ვლში, მაგრამ ერთი არაიენ ვაპყობია თავის მოპირდაპირეს; საზოგადოებამ იცოდა ყველა ესენი, მაგრამ მას ზნეობით არაიენ დაუსჯია ამისათვის. თითონ თქვენს მორჩილ მოსამსახურეს ორი შემთხვევა მქონდა გამოწვევისა და სეკუნდატად მისვლისა, მაგრამ ორივეჯელ ჩინებული უარი მივიღე.

იქ, სადაც არ არის სპეციალური სამსახური „судь чести“, რომელიც არჩევს მხოლოდ გალანძღვის საქმეს, როგორც მაგ. იტალიაშია, სადაც არ არსებობს არც დუელი და არც საზოგადოებრივი დევნა მეტორეთათვის—მიბრძანეთ ერთი რა უნდა შექმნას კაცმა?

ამ პასუხზედ აღმძრა მე არა ჩემის მოპირდაპირის გამოყენების სურვილმა; მე მსურდა მხოლოდ, რაკი 10 მარტის შემთხვევა დაიბეჭდა, ბარემ იმის წამდელი მიზეზიც ჰყოფილიყო გამოცხადებული.

ღვთი მიქელაძე

P. S. შმორჩილესად ვითხოვ, ეს ჩემი წიგნი ვადაბეჭდილი იქნეს „ბავკაში“ და „თფილისის მოამბეში“, რადგანაც ისინიც იმნაირათვე ხსნიან ჩემი მოქმედების მიზეზს, როგორც „ღროება“.

ნაკვეთი

ნეტარ-ხსენებელი ნაპოლეონი მესამის ვაჟი, პრინცი ნაპოლეონი, თუ მოგვხსენებთ, წმ. მამის პიო მე-IX-ს მონათლული გახლავს. აი, ეს ღირსეული ნათლისღების უფლები ნათლული, თავის ღირსეული დედით, მადამ „ზარალით“ (დეზიტით), როგორც მას თავის დროზე ფრანკო-სლავი უწოდებდნენ და ნაპოლეონ მე-III სახლთ-უბუცის რუერით, გაემგზავრა რომში, რომ კურთხევა მიიღოს თავის ნათლისღებამ.

პირველად დედა-და-შვილი მივიდნენ მატეიკანში სრულის იმედით, რომ წმინდა მამა ღირსეულად მიიღებდა მათ, მოეფერებოდა, კურთხევას მისცემდა და ისე გამოისტუმრებდა. მაგრამ წარმოიდგინეთ მათი გაკვირება! სრულიად მოულოდნელათ, წმ. მამა ძირელ უსიამოვნოთ და ცივთ შეეგება მათ, განსაკუთრებით მადამ „ზარალს“. ამ უკანასკნელს მან გამოუცხადა, რომ მისი ქმრის აწ. განსვენებული ნაპოლეონ მე-III მეუღლა, საძაგელი მეუღლა იყო და ძირელ უსიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა მასზე პიო მეტრზე, რომ ნაპოლეონ მესამემ ერთობ ბევრი ვნება მოუტანა რომის ეკლესიას და განსაკუთრებით პაპს და რომ ამის გამოისობით მისი ქვრივი წმ. მამისგან არაფერს კარგს არ უნდა მოელოდეს. ამის

გამონე „სურჟი“ იმპერატორიკა მატეიკა-წინამ განამავალი დიდხანს იმეორებდა ამ სიტყვებს: „რა მივართვი, რომ უწინდელურათ შემხვედროდა, ნათლია ბატონი? ჩემს ასე ნახვას არ არის ის მიხვეული. მაგრამ სადა მამეს ის ნეტარი დრო...“ და სხვ.

ნათლული კი უფრო დიდხანს და კარგათ მიიღო თურმე ნათლიამ. ბახსენდა, რომ ის მისი ნათლული იყო და მოიწადინა კიდევ მამობრივი დარიგების მიცემა. სხვათა შორის აი რა უთხრა:

„თუ ვინიცობა, რამე მანქანებით, რომლისმე გედირსოს საფრანგეთის ტახტზე ასე-ლა, არ დაიფიქრო, რომ შენ კათოლიკე ეკლესიის შვილი და ჩემი ნათლული ხარ. მე თუ მივიღე შენ ჩემს სამწყსოში და მირონი გცხე მხოლოდ იმტომ: რომ შენ-გან სრულს მფარველობას მოველი ჩვენი დევნული ეკლესიისათვის. მახსოვდეს, რომ შენ გყავდა მამა, რომელსაც ვნების მეტი არა მოუტანა-რა ეკლესიას. შენი ვალია, რომ მამიშენის შეცოდებანი, შენის მოღვაწეობით და ლოცვა-დევნებით გამოისყიდო და ამ რიგათ იხსნა სული მისი სატანჯველისა-გან.“ პიო მე-IX თან-და-თან გაზურდა და გაცხარდა: „მამა შენმა მთელი თვისი მე-ფობა ხალხს მოტყუებაში, სიტუტეში და მრუშობაში გაატარა... ბონაპარტების შთამავლობის დაცემა არის სასჯელი ღვთისა!..“

ეს უკანასკნელი სიტყვები ისეთი აღელვებული ხმაო წარმოთქვა თურმე ოთხმოცდა-ხუთის წლის წმ. მამამ, რომ მეტი ლაპარაკი ვეღარ შესძლო და ჩაიკეცა. დედაზე უკეთესი შთაბეჭდილება არც შერსს გამოუტანია... რუერს ხომ, რასაკვირველია, უარესი სიტყვები მიჰყენა. ჯერ ერთი რომ მთელი თერთმეტი დღე აწვალა, სანამ აუღიერებდას აღიარებდა. ბოლოს მიიღო, მაგრამ ვაი იმისთანა შიღებს: — რაც დედან და

შვილს უთხრა, ხოლო უფრო ვაცხარებულად; ამას გაუმეორა და გზად ხმისა ჰყო ქათოლიკე ეკლესიას ნაპირდებულ ქვეყნებს და დააწყდა, ყველაფერი ამას მოახვია თავზე: „ქველადური შენი ბრალო! უღირსი იყო შენი იმპერატორი და უღირსად მოშორდა კიდევ ამ საფელს!...“

ესე ღირსეულად გამოისტუმრა ნათლიამ ნათლული, ნათლის-დედა და მათი მანჩანალი!

ბანსხალეზანი

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პურნი (უპირილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს დაპირისხორცის კანზე, რომ ალბოზს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს. ძანს ეკერება და არა სჩანს.

ფ. ძაი — გამომგონი

pommade satin

(ატლასის პომადე)

ხელების კანის რბილად შესანახად; ზამთარში არ დაუკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადეს ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris
156—114

წერილები

შუალო რედაქტორი!

ნება მომეცით მოგახსენოთ, რომ მიზეზი 10 მარტის უსიამოვნო შემთხვევისა მუთაისის ბუღეარზედ, სრულიად ქალი არ ვხლვებით, როგორც მოგვითხრობთ თქვენ.

მე ვიყავი აღელვებული ზოგიერთი ჩემი მოპირდაპირისგან ზურგს უკან ნალაპარაკი სიტყვებით და მოქმედებით. ამისათვის ვიპოვე თუ არა როგორც შეიძლება თავისუფალიდრო, გამოველაპარაკე ის და ცოტა რამ უსიამოვნების შემდეგ, დიან შეგვექნა ერთი მეორის ჩება.

მართალია, ამ ნაირთ თავის პატივის დაცვა, გასწორება, ერთობ მხეცური; მაგრამ რა უნდა მექნა? დუელს, არა თუ არა აქვს მოდებული ძირი ჩვენს საზოგადოებაში, არამედ მცირეოდენი კვირტიც ვერ გამოუღია. ამ უკანასკნელი ხუთის წლის განმავლობაში ათიოდე შემთხვევა მაინც იყო გამოწვევისა დუ-

მეფე ლირი

ტრაგედია 3. შამსპირისა

ინგლისურადამ გადმოღებული

ივ. მაჩაბელის და ილ. ჰაეკავაძეს მიერ

ფასი 60 კობ.

ისუიღება:

ქალაქს, მართანოვის და ბრიტუროვის წიგნის მაღაზიაში და „ივერიის“ რედაქციაში,

მუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში, მთიანეთში,

გორს, შარნაოზ ნათიფისას, გემ. პიკო ნოვეცე, დეპოტო,

ახალციხეს, ალექსეე—მესხიფისას (მბროვოი პოსტდენიკი)

ლამსნი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან, ფასი 20 კობ.

ზ. ნ. ანტონოვის თხზულება, — — — — — ფასი 1 მან.

პართული ანდაზები — — — — — 10 კობ.

(3—1)

რ. ზ. ა.	სადა.			სადა.			სადა.	სადა.	სადა.	სადა.
	II	III	IV	II	III	IV				
თფილისი	936	454								
მცხეთა			68	38						
ბორი	1221	841	2	40	123					
ხაშური	2	1110	3	92	218					
ბეჟაბუზანი			4	42	246					
შვირია			5	81	323					
მუთაისი	823		6	75	375					
სამტრედია			7	73	429					
ახ.-სენაკი			8	57	476					
შოთი	1144		9	75	542					
შოთი	840									
ახ.-სენაკი			1	18	66					
სამტრედია			2	61	114					
მუთაისი	1151		3	41	69					
შვირია			3	98	221					
ბეჟაბუზანი		ღამე	5	33	296					
ხაშური	541	1	6	5	84	3	24			
ბორი	723	3	6	7	36	4	9			
მცხეთა			9	8	5	4	1			
თფილისი	1016	7	24	9	7	5	42			